საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კვესელავა მიხეილ ალექსანდრეს ძე

მ. კვესელავა

კვესელავა მიხეილ ალექსანდრეს ძე (27. V. 1913, თბილისი, – 5. XII. 1981, იქვე), ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1964), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1976). 1936 დაამთავრა თსუ-ის დას. ევროპის ენებისა და ლიტ-რის ფაკ-ტი. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში (1939–45). 1946- იდან კითხულობდა ლექციებს თსუ-ში. სხვადასხვა დროს იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტ. ურთიერთობის საზ-ბის პრეზიდიუმის თავ-რე, უცხო ენათა პედ. ინ-ტის დირექტორი. კ. ავტორია მონოგრაფიებისა: „ბულგარული ლიტერატურა“ (1953) და „ადამ მიცკევიჩი" (1965). მისი ორტომიანი „ფაუსტური პარადიგმები" (1961) დას. ევრ. *ლიტ.* აზროვნების ფართო პანორამის შემცველი გამოკვლევაა. როგორც თარჯიმანი, გერმანული ენის შესანიშნავი მცოდნე, მონაწილეობდა ქ. ნიურნბერგში მთავარ სამხ. დამნაშავეთა გასამართლების პროცესში (1945– 46), რაც აისახა მის ტრილოგიაში „ას ერგასის დღე" („თემიდას თვალები", 1967; „ევროპის მოტაცება", 1970; „ნემეზიდას მახვილი", 1971), რ-იც II მსოფლიო ომის თემაზე დაწერილი კულტ.- ფილოს. და ისტ.-*ლიტ.* განზოგადებით მდიდარი ნაშრომია. მასვე ეკუთვნის მონოგრაფია „პოეტური ინტეგრალები“ (1977), რ-შიც გ. ტაბიძის პოეზიის ძირითადი ტენდენციები დას. ევროპის პოეტური აზროვნების მასშტაბშია განხილული. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: ნიურნბერგის პროცესი, თბ., 2017.

ნ. ყიასაშვილი